საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი

სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.gov.ge

N7316/03 **2026-06-11**

ბატონ იოანე იარაჯულის
მისამართი: ზღვის უბანი, მე-9 კვარტალი, კორპუსი №15, ბინა №58,
178, თბილისი, საქართველო
ელ-ფოსტა: Ioane@be-ip.ge
მობ: 593787765

ბატონო იოანე,

სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა - საქპატენტმა (შემდგომ - საქპატენტი) განიხილა 2026 წლის 4 ივნისის თქვენი №R 12265-3/2026 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სასაქონლო ნიშანზე „EXEDY“ (საერთ. რეგ. №799360) 2026 წლის 27 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინების შესაბამისად, 2026 წლის 10 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გაუქმებას და გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე‘‘.

ამასთან, ვინაიდან თქვენ მიერ წარმოდგენილი 2026 წლის 27 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება, სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ (საქმე №2/3392-26) არ არის ხელმოწერილი და ასევე არ დგინდება განჩინება შესულია თუ არა კანონიერ ძალაში, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 83-ე მუხლის თანახმად, გთხოვთ წინამდებარე შეტყობინების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში წარმოადგინოთ კანონიერ ძალაში შესული განჩინება, წინააღმდეგ შემთხვევაში, 2026 წლის 4 ივნისის თქვენი №R R 12265-3/2026 განცხადება დარჩება განუხილველი.

პატივისცემით,

სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული
აღნიშვნებისა და დიზაინის
დეპარტამენტის უფროსი

დარეჯანი მჭედლიძე